

ფინანსური ანგარიშგება გაერთიანებული ლოჯისტიკური კომპანია

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2024 წლის 31 დეკემბერს



შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძვლები	6
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
5. ძირითადი საშუალებები	18
6. არამატერიალური აქტივები	18
7. მარაგები	18
8. გაცემული სესხები	19
9. გადახდილი ავანსები	19
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
11. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	19
12. მიღებული სესხები	20
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
14. შემოსავალი მომსახურებიდან	20
15. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	21
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	21
17. სხვა შემოსავალი/ხარჯი	21
18. ფინანსური შემოსავლები	21
19. ფინანსური ხარჯები	22
20. ოპერაციები დაკავშირებულ მზარეებთან	22
21. პირობითი ვალდებულებები	22
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22
23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	23

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-24	31-12-23	31-12-22
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები		2,643,169.42	2,688,973.90	2,469,369.39
ძირითადი საშუალებები	5	2,497,342.06	2,526,847.84	2,278,865.15
არამატერიალური აქტივები	6	145,827.36	162,126.06	190,504.24
მოკლევადიანი აქტივები		2,514,858.05	2,013,764.09	1,719,499.12
მარაგები	7	25,002.05	21,522.03	12,104.93
გაცემული სესხები	8	52,990.14	327,892.83	629.82
გადახდილი ავანსები	9	144,617.21	132,003.62	85,830.70
სავაჭრო მოთხოვნები	10	2,251,302.92	1,496,628.89	1,481,697.72
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	11	40,945.73	35,716.72	139,235.95
სულ აქტივები		5,158,027.47	4,702,737.99	4,188,868.51
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი		(4,080,938.53)	(3,346,288.04)	(2,264,363.73)
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		(4,080,938.53)	(3,346,288.04)	(2,264,363.73)
სულ კაპიტალი		(4,080,938.53)	(3,346,288.04)	(2,264,363.73)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები		3,790,470.56	3,078,779.54	2,500,000.00
მიღებული სესხები გრძელვადიანი	12	3,790,470.56	3,078,779.54	2,500,000.00
მოკლევადიანი ვალდებულებები		5,448,495.44	4,970,246.49	3,953,232.24
მიღებული სესხები მოკლევადიანი	12	2,377,028.74	2,620,326.48	1,043,152.55
საგადასახადო ვალდებულებები		39,217.09	36,085.17	(45,946.25)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,032,249.61	2,313,834.84	2,956,025.94
სულ ვალდებულებები		9,238,966.00	8,049,026.03	6,453,232.24
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,158,027.47	4,702,737.99	4,188,868.51

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 27 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: ----- /გიორგი ბერიანიძე/

ფინანსური დირექტორი: ----- /ირაკლი შათაშვილი/

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	მენიშვნა	31-12-24	31-12-23	31-12-22
გრძელვადიანი აქტივები		2,643,169.42	2,688,973.90	2,469,369.39
ძირითადი საშუალებები	5	2,497,342.06	2,526,847.84	2,278,865.15
არამატერიალური აქტივები	6	145,827.36	162,126.06	190,504.24
მოკლევადიანი აქტივები		2,514,858.05	2,013,764.09	1,719,499.12
მარაგები	7	25,002.05	21,522.03	12,104.93
გაცემული სესხები	8	52,990.14	327,892.83	629.82
გადახდილი ავანსები	9	144,617.21	132,003.62	85,830.70
სავაჭრო მოთხოვნები	10	2,251,302.92	1,496,628.89	1,481,697.72
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	11	40,945.73	35,716.72	139,235.95
სულ აქტივები		5,158,027.47	4,702,737.99	4,188,868.51
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი		(4,080,938.53)	(3,346,288.04)	(2,264,363.73)
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		(4,080,938.53)	(3,346,288.04)	(2,264,363.73)
სულ კაპიტალი		(4,080,938.53)	(3,346,288.04)	(2,264,363.73)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები		3,790,470.56	3,078,779.54	2,500,000.00
მიღებული სესხები გრძელვადიანი	12	3,790,470.56	3,078,779.54	2,500,000.00
მოკლევადიანი ვალდებულებები		5,448,495.44	4,970,246.49	3,953,232.24
მიღებული სესხები მოკლევადიანი	12	2,377,028.74	2,620,326.48	1,043,152.55
საგადასახადო ვალდებულებები		39,217.09	36,085.17	(45,946.25)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,032,249.61	2,313,834.84	2,956,025.94
სულ ვალდებულებები		9,238,966.00	8,049,026.03	6,453,232.24
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,158,027.47	4,702,737.99	4,188,868.51

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 27 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:  /გიორგი ბერიანიძე/

ფინანსური დირექტორი:  /ირაკლი მათაშვილი/

სრული შემოსავლის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

		2024	2023
შემოსავალი მომსახურებიდან	14	18,641,613	13,748,249
საერთო მოგება		18,641,613	13,748,249
		-	-
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	15	(17,618,443)	(13,353,683)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(831,927)	(842,349)
სხვა შემოსავალი/ხარჯი	17	(55,486)	(7)
საოპერაციო მოგება		135,757	(447,789)
ფინანსური შემოსავლები	18	25,097	27,263
ფინანსური ხარჯები	19	(757,478)	(628,927)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა		(138,027)	(32,471)
მოგება დაბეგვრამდე		(734,650)	(1,081,924)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის სრული შემოსავალი		(734,650)	(1,081,924)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 27 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: ----- /გიორგი ბერიანიძე/

ფინანსური დირექტორი: ----- /ირაკლი შათაშვილი/

სრული შემოსავლის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

		2024	2023
შემოსავალი მომსახურებიდან	14	18,641,613	13,748,249
საერთო მოგება		18,641,613	13,748,249
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	15	(17,618,443)	(13,353,683)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(831,927)	(842,349)
სხვა შემოსავალი/ხარჯი	17	(55,486)	(7)
საოპერაციო მოგება		135,757	(447,789)
ფინანსური შემოსავლები	18	25,097	27,263
ფინანსური ხარჯები	19	(757,478)	(628,927)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა		(138,027)	(32,471)
მოგება დაბეგვრამდე		(734,650)	(1,081,924)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის სრული შემოსავალი		(734,650)	(1,081,924)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 27 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:  /გიორგი ბერიანიძე/

ფინანსური დირექტორი:  /ირაკლი მათაშვილი/

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	518,923	(544,568)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(412,903)	(755,488)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(99,175)	1,197,414
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	6,845	(102,642)
სავალუტო კურსის ეფექტი	(1,616)	(877)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	35,717	139,236
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	40,946	35,717

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

აღწერა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
2023 წლის დასაწყისის ნაშთი	-	(2,264,364)	(2,264,364)
2023 წლის სრული შემოსავალი (ზარალი)	-	(1,081,924)	(1,081,924)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(3,346,288)	(3,346,288)
2024 წლის დასაწყისის ნაშთი	-	(3,346,288)	(3,346,288)
2024 წლის სრული შემოსავალი (ზარალი)	-	(734,650)	(734,650)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(4,080,939)	(4,080,939)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 27 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: ----- /გიორგი ბერიანიძე/

ფინანსური დირექტორი: ----- /ირაკლი შათაშვილი/

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	518,923	(544,568)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(412,903)	(755,488)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(99,175)	1,197,414
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	6,845	(102,642)
სავალუტო კურსის ეფექტი	(1,616)	(877)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	35,717	139,236
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	40,946	35,717

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

აღწერა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
2023 წლის დასაწყისის ნაშთი	-	(2,264,364)	(2,264,364)
2023 წლის სრული შემოსავალი (ზარალი)	-	(1,081,924)	(1,081,924)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(3,346,288)	(3,346,288)
2024 წლის დასაწყისის ნაშთი	-	(3,346,288)	(3,346,288)
2024 წლის სრული შემოსავალი (ზარალი)	-	(734,650)	(734,650)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(4,080,939)	(4,080,939)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 27 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:  /გიორგი ბერიანიძე/

ფინანსური დირექტორი:  /ირაკლი მათაშვილი/

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სს "გაერთიანებული ლოჯისტიკური კომპანია" (შემდგომში - კომპანია) ს/ნ 400202543 დაარსდა 2017 წელს და საქმიანობას ეწევა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასაწყობო ფართების იჯარით გაცემას და სასაწყობო/ლოჯისტიკურ მომსახურებას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს თბილისში 4 ლოჯაციაზე (დიდუბეში, თემაზე, ლილოში, ორხევში) და 4 რეგიონში (სამტრედიამი, თელავში, მარნეულსა და ოზურგეთში).

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ერისთავის ქ., N5 კომპანიის დირექტორია ბატონი გიორგი ბერიანიძე.

კომპანიის მფლობელები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
შპს ბაბილო ჰოლდინგი ს/კ 402038576	50%	50%
სს ჰონტო კაპიტალ ს/კ 404471969	50%	50%

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეგულაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2024 წლის სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 მენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს საქმიანობას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს აქვთ სურვილი და განზრახვა განავითარონ საქმიანობა საქართველოს ბაზარზე. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობის ხასიათი, სტრატეგიული მიზნები, ძირითადი რისკები და არსებული გაურკვევლობები. ასევე მომზადდა ფინანსური პროგნოზი, რომელიც მოიცავს ანგარიშგების დამტკიცების დღიდან მომდევნო 12 თვეს და ითვალისწინებს მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარებს.

განხორციელებული შეფასების საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად და მისი ფუნქციონირება, როგორც მოქმედი საწარმოსი, არ უკავშირდება არსებით განუსაზღვრელობას. დამფუძნებლები მზად არიან საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ კომპანიის დაფინანსება, რათა გაგრძელდეს საქმიანობა უწყვეტად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფინანსური აქტივები

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით. გაუფასურების რეზერვის ცვლილება აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს გაცემულ სესხებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის მენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს გარიგების საწყის ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90

დღეა და თავისუფალია ყოველგვარი სახელშეკრულებო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები, რომელთა გამოყენება საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში შეზღუდულია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების საგარანტიოდ, კლასიფიცირდება როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების არსებით ნაწილს შეიძლება ძირითადი საშუალებისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდები ჰქონდეს. ამგვარი ნაწილები აღირიცხება ცალკე.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ჯგუფი	სასარგებლო (წელი)	მომსახურების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები		5-10
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი		2-5
საწყობის აღჭურვილობა		2-15
იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა		5-20

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და კორექტირდება თუ ამის საჭიროება არსებობს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა ამოწმებს ძირითად საშუალებებს გაუფასურებაზე. თუ არსებობს ამის ნიშნები ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით.

ნარჩენი ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

აქტივის გაუფასურების ზარალის კომპენსირება დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მოცემული აქტივი აღრიცხული არ არის გადაფასებული ღირებულებით ბუღალტრული აღრიცხვის სხვა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან აღიარდება შესაბამისი პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრთივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრთივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრთივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგებისა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ

საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში.

ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს ფიფო მეთოდს (პირველი შემოსავალი - პირველი გასავალი).

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. 2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზს. შედეგად, კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ურთიერთგადახურვით.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის/მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს მომსახურების გაწევის პერიოდში, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროპორციულად, ანუ იმ დრომდე, როდესაც მომხმარებელი რეალურად იღებს და მოიხმარს მომსახურებით წარმოქმნილ სარგებელს. შემოსავალი აღიარებულია დროში, მომსახურების ფაქტობრივი შესრულების პრინციპით, IFRS 15-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების კრიტერიუმების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი

- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები. ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-24	31-12-23
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,251,303	1,496,629
გადახდილი ავანსები	144,617	132,004
გაცემული სესხები	52,990	327,893
ფული და ფულის ეკვივალენტები	40,946	35,717
	<u>2,489,856</u>	<u>1,992,242</u>
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	6,167,499	5,699,106
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,032,250	2,313,835
	<u>9,199,749</u>	<u>8,012,941</u>

ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუჯორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, სესხების მე-2 დონით, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უზუგებამ კაპიტალზე დააყრდნობოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით და ა.შ.

კომპანია ადგენს აუცილებელი კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის გათვალისწინებით, მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას მასში შემავალი აქტივების რისკის მახასიათებლების და ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

კომპანიაში არსებული პოლიტიკის შესაბამისად მომსახურების გაწევა ხორციელდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველზე - საბანკო გადარიცხვით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ დონეს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. კომპანიამ გამოავლინა გარკვეული მთავარი ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განვითარებასთან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები განისაზღვრება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველწლიურად და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-24	31-12-23
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,251,303	1,496,629
გადახდილი ავანსები	144,617	132,004
გაცემული სესხები	52,990	327,893
ფული და ფულის ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის	40,946	35,717
	<u>2,489,856</u>	<u>1,992,242</u>

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

5. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	საწყობის ალჭურვილობა	მანქანა- დანადგარ ები	უსაფრთხ ობა	ოფისის ალჭურვი ლობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	სულ
31 December, 2023	76,090	1,599,623	1,288,083	24,932	121,828	46,784	376,361	3,533,701
შემოსვლა	21,798		149,341	3,993	49,097	5,321	379,517	609,067
გასვლა	19,196	121,760	1,556		38,479			180,991
31 December, 2024	78,692	1,477,863	1,435,868	28,925	132,446	52,105	755,878	3,961,777
<u>ცვეთა და გაუფასურება</u>								
31 December, 2023	(38,970)	(419,778)	(393,418)	(10,398)	(28,035)	(22,910)	(93,344)	(1,006,853)
პერიოდის ცვეთა	(9,621)	(189,801)	(180,164)	(6,174)	(7,997)	(8,536)	(55,289)	(457,582)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა			-					-
31 December, 2024	(48,591)	(609,579)	(573,582)	(16,572)	(36,032)	(31,446)	(148,633)	(1,464,435)
<u>წმინდა საბალანსო ღირებულება</u>								
31 December, 2023	37,120	1,179,845	894,665	14,534	93,793	23,874	283,017	2,526,848
31 December, 2024	30,101	868,284	862,286	12,353	96,414	20,659	607,245	2,497,342

6. არამატერიალური აქტივები

	31-12-24	31-12-23
არამატერიალური აქტივები	292,316	278,683
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	(146,489)	(116,557)
	<u>145,827</u>	<u>162,126</u>

არამატერიალური აქტივები მოიცავს სასაწყობო და საბუღალტრო პროგრამებს

7. მარაგები

	31-12-24	31-12-23
საწვავი	12,446	10,174
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	12,556	11,348
	<u>25,002</u>	<u>21,522</u>

მარაგები მოიცავს საწვავს და სხვადასხვა წვრილმან მარაგებს საწყობებისთვის.

8. გაცემული სესხები

	31-12-24	31-12-23
გაცემული სესხის ძირი	-	300,000
გაცემული სესხის პროცენტი	52,990	27,893
	<u>52,990</u>	<u>327,893</u>

გაცემული სესხები მოიცავს არადაკავშირებულ მხარეზე გაცემულ სესხის ძირს და პროცენტს, 2024 წლის ბოლოსთვის ძირი სრულად დაფარულია.

9. გადახდილი ავანსები

	31-12-24	31-12-23
გადახდილი ავანსები	144,617	132,004
	<u>144,617</u>	<u>132,004</u>

გადახდილი ავანსები ძირითადად წარმოადგენს იჯარის მომწოდებლებს წინასწარ გადახდილ თანხებს, რომლებიც ეხება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის იჯარის გადახდებს და აღირიცხება როგორც წინასწარი გადახდები მიმდინარე აქტივებში.

10.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-12-24	31-12-23
სავაჭრო მოთხოვნები	2,251,303	1,496,629
	<u>2,251,303</u>	<u>1,496,629</u>

დებიტორული დავალიანება ძირითადად წარმოიქმნება კომპანიის მიერ გაწეული მომსახურებისა და იჯარის ინვოისებიდან, რომლებიც გაცემულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხოლო გადახდა ხორციელდება მომდევნო თვეში. დებიტორული დავალიანება აღირიცხება იმ პერიოდში, როდესაც კომპანია ასრულებს მომსახურებას და აღიარებს შემოსავალს, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. აღნიშნული მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები ბალანსში.

კომპანიას ჰყავს მრავალი მომხმარებელი, ამიტომ არ ხასიათდება კონცენტრირებული საკრედიტო რისკით. კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი თანდაყოლილი საკრედიტო რისკი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება.

11.ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

	31-12-24	31-12-23
ფული საბანკო ანგარიშებზე	40,946	35,717
	<u>40,946</u>	<u>35,717</u>

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე. კომპანიას არ გააჩნია საღარო აპარატი, შესაბამისად ყველა ფულადი ბრუნვა სრულად ხორციელდება საბანკო გზით.

12. მიღებული სესხები

	31-12-24	31-12-23
გრძელვადიანი სესხები	3,790,471	3,078,780
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	2,220,641	2,442,434
გადასახადელი პროცენტი	156,388	177,893
	<u>6,167,499</u>	<u>5,699,106</u>

კომპანიას გააჩნია გრძელვადიანი საბანკო სესხები, რომლებიც აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით, დასრულების თარიღად განსაზღვრულია 2027-2029 წლები. გარდა ამისა, კომპანიას აქვს სესხები დაკავშირებული მხარეებისგან, რომლებიც ასევე აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და ასახულია ბალანსში როგორც ფინანსური ვალდებულებები. სესხები აქვს როგორც დოლარში, ისე ლარში, საპროცენტო განაკვეთის ზღვარი მერყეობს 10%-დან -14%-მდე.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-12-24	31-12-23
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,701,937	1,902,257
მიღებული ავანსები	288,969	379,327
სახელფასო ვალდებულებები	41,344	32,251
	<u>3,032,250</u>	<u>2,313,835</u>

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოიცავს ძირითადად იჯარის მომწოდებლების მიმართ გადასახადებულ თანხებს, რომლებიც წარმოადგენს დარიცხულ ვალდებულებებს და გადასახდელია მომდევნო თვეში. გარდა ამისა, აღნიშნული კატეგორია მოიცავს მიღებულ ავანსებს, რომლებიც ძირითადად კლიენტებისგან მიღებული საავანსო თანხებია იჯარის კონტრაქტების შესაბამისად. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები ბალანსში. კომპანიას აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს ყველა გადასახდელი თანხის გადახდა წინასწარ შეთანხმებული პირობებში.

14. შემოსავალი მომსახურებიდან

	31-12-24	31-12-23
იჯარიდან მიღებული შემოსავლები	11,114,654	7,756,160
სასაწყობე მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები	1,946,661	1,633,454
სატრანსპორტო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები	3,863,733	2,997,617
სხვადასხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები	1,716,565	1,361,019
	<u>18,641,613</u>	<u>13,748,249</u>

შემოსავალი მომსახურებიდან მოიცავს საანგარიშო პერიოდში დარიცხულ შემოსავლებს იჯარიდან, სასაწყობე მომსახურებიდან, სატრანსპორტო მომსახურებიდან და სხვა სახის მომსახურებიდან. კომპანიის შემოსავალი აღიარებულია მომსახურების გაწევის პერიოდში, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროპორციულად, იმ დრომდე, როდესაც მომხმარებელი იღებს მომსახურებით წარმოქმნილ სარგებელს.

15.გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

	31-12-24	31-12-23
იჯარის ხარჯი	-8,871,876	-6,222,642
შრომის ანაზღაურება	-3,449,968	-2,512,668
კომუნალური ხარჯი	-1,749,530	-1,600,712
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	-1,079,258	-810,269
საწვავის ხარჯი	-894,278	-786,904
ძირითადი საშუალებების შენახვა/რემონტი	-665,376	-584,970
ცვეთის ხარჯი	-336,034	-248,903
დაცვის მომსახურების ხარჯი	-195,918	-107,821
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	-70,025	-63,186
სხვა საოპერაციო ხარჯი	-306,180	-415,608
	-17,618,443	-13,353,683

16.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	31-12-24	31-12-23
შრომის ანაზღაურება	-503,473	-501,851
ცვეთის ხარჯი	-236,453	-241,476
სხვა საოპერაციო ხარჯი	-27,726	-29,009
საგადასახადო ხარჯი	-25,127	-23,260
საკონსულტაციო ხარჯი	-9,973	-12,857
საოფისე და სხვა ხარჯი	-29,175	-33,897
	-831,927	-842,349

17.სხვა შემოსავალი/ხარჯი

	31-12-24	31-12-23
ძირ. საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ზარალი	(836)	(2,975)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და დანახარჯები	-54,650	2,968
	-55,486	-7

სხვა შემოსავალი/ხარჯი მოიცავს ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებულ მოგება/ზარალს და ასევე სხვა არასაოპერაციო შემოსავლებს და დანახარჯებს.

18.ფინანსური შემოსავლები

	31-12-24	31-12-23
საპროცენტო შემოსავლები	25,097	27,263
	25,097	27,263

ფინანსური შემოსავლები მოიცავს გაცემულ სესხებზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავლებს. აღირიცხება დარიცხვის პროცენტით.

19.ფინანსური ხარჯები

	31-12-24	31-12-23
საპროცენტო ხარჯი	-757,478	-628,927
	-757,478	-628,927

ფინანსური ხარჯები მოიცავს მიღებულ სესხებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯებს, რომელიც აღირიცხება დარიცხვის პრინციპით.

20.ოპერაციები დაკავშირებულ მზარეებთან

	31-12-24	31-12-23
უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება	563,686	465,144
	563,686	465,144

21.პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით.

კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე.

საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

22.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

23.ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2025 წლის 27 ოქტომბერს.

გიორგი ბერიანიძე

გაერთიანებული ლოჯისტიკური კომპანიის დირექტორი:

23.ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის ბიურ 2025 წლის 27 ოქტომბერს.



გიორგი ბერიანიძე

გაერთიანებული ლოჯისტიკური კომპანიის დირექტორი: